



Enhancing Gender Equality in Georgia



გამოცემა მომზადდა პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გაეროს სააგენტოების: გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women); გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოში (UNFPA) მიერ. პროგრამის განხორციელებას მხარს უჭერს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (Sida).

ამ პუბლიკაციაში გამოქვეყნებული მოსაზრებები და შეხედულებები არ წარმოადგენს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women); გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ოფიციალურ პოზიციას.



„ნარკომანია სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი სიკვდილით ტკბობა“.

ფრანსუა მორიაკი

# ისხოვრე ნარკოტიკების გარეშე ნუ გავყვები სახიფათო გზას

ოფიციალური სტატისტიკა  
შეაფუძვთიქაჲლ ინფორმაციას გვაწვდის:

- უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში მოზარდებს შორის ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი 10-ჯერ გაიზარდა.
- საქართველოში ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა 200 000-ს აღწევს.

უნდა გავაცნობიეროთ, რომ ნარკომანია დაავადებაა. დაავადება, რომლის დროსაც ნარკომანთა 96% სასიკვდილოდ არის განწირული.

# როგორ ვიხსნათ მოზარდი „თეთრი სიკვდილის“ კლანჭებისგან?

## საყურადღებო ნიშნები მოზარდებში

- გულჩათხრობილი და საკუთარ თავში ჩაკეტილი გახდა;
- მეტწილად გარეთ არის და შინ იშვიათად მოდის;
- გაღიზიანებულია და ძილ-ღვიძილის რიტმი დარღვეული აქვს;
- ხშირად აცდენს გაკვეთილებს და ლექციებს, აღარ მეცადინეობს;
- კარგი მადის მიუხედავად, წონაში მკვეთრად იკლებს;
- აღარ აინტერესებს უნივერსიტეტის გატაცებები (სპორტი, მუსიკა და ა.შ.);
- მკვეთრად შეეცვალა ხასიათი;
- ყოველდღე გთხოვთ ფულს და თქვენი საფულიდან ხშირად ქრება გარკვეული ოდენობის თანხა;
- სადღაც იკარგება ძვირფასი ნივთები;
- ხშირად იტყუება;
- ბოლო დროს ტელეფონზე საეჭვო საუბრებს ამჩნევთ;
- რამდენჯერმე ერთჯერადი შპრიცი უპოვეთ;
- თვალეხი ხშირად ჩანთილებული აქვს და ძლიერ ოფლიანობს;
- ძლიერ იქავეებს ცხვირს, შუბლს ან მთელ სხეულს.

ეს ნიშნები იმაზე მიუთითებს, რომ დროა, გულახდილად ესაუბროთ თქვენს შვილს, მკაცრად ნუ მოეპყრობით, ეცადეთ, მასთან საერთო ენა იპოვოთ, რათა გული გადაგიშალოთ, აუხსენით რა ზიანი მოაქვს ნარკოტიკებს.

## თუ არ გასურთ, რომ თქვენი შვილი ნარკოტიკების მსხვერპლი გახდეს:

- იყავით მის გვერდით, ხშირად ესაუბრეთ, ერთად ისეირნეთ, უსმინეთ მუსიკას, ერთად იარეთ კინოში;
- დაინტერესდით მისი ამბებით, მეგობრებით;
- თუ რაიმე ანუხებს და განმარტოება სურს, ხელს ნუ შეუშლით, მაგრამ მიანიშნეთ,

რომ მის გვერდით ხართ და თუ დასჭირდება, ნებისმიერ დროს შეუძლია თქვენი იმედი ჰქონდეს;

- შექმენით ოჯახში თბილი და მოსიყვარულე ატმოსფერო;
- ეცადეთ, მთელმა ოჯახმა იცხოვროთ ჯანსაღი ცხოვრების წესით;
- თუ რაიმე საეჭვო შეამჩნიეთ, თავს ნუ მოიტყუებთ, თითქოს არაფერი ხდება, მაშინვე მიიღეთ ზომები.

ყველა დამწყებ ნარკომანს ჰგონია, რომ თუ ნარკოტიკს ერთხელ გაუსინჯავს გემოს და თუ თვითონვე არ მოისურვა, მასზე დამოკიდებული არ გახდება. არადა, სწორედ ეს ერთხელ გასინჯვა ბადაბს მეორედ გასინჯვის სურვილს, მეორე მესამედ... და ახალგაზრდა ნარკოტიკის ტყვედ იქცევა.

## მათ სურთ, შენც გახდე ნარკომანი

უბანში თუ სკოლაში, საერთო მეგობრების წრეში ნარკოტიკული დამოკიდებულების მრავალი მაგალითი გვაქვს. ნებისმიერ მათგანს სურს, შენც გახდე ნარკომანი. ისინი თავიანთ სურვილს არ გიშვებენ და არც მათი გეგმების შესახებ იცი რამე, მაგრამ თუ „კაიფს“ ერთხელ გაუგე გემო, ჩათვალე, რომ შენც ერთ-ერთი მათგანი გახდი. შენც დაგეწყება „ლომკები“ და ყველაფერს გაიღებ, საყვარელი ადამიანების კეთილდღეობასაც კი, რომ კიდევ ერთხელ (და უკვე მერამდენედ!) ჩაეშვა სიამოვნების მორევი. სიამოვნებისა, რომლის შედეგიც ასეთია:

## საპედისწერო განაჩენი

- შიდათ ინფიცირებულთა 70% ნარკოტიკების ინტრავენური მომხმარებელია;
- ნარკოტიკის ერთხელ შესუნთქვამაც კი შეიძლება უეცარი სიკვდილი გამოიწვიოს (დახრჩობით ან გულის გაჩერებით);
- ნარკოტიკების მომხმარებელთა უმრავლესობა ინფიცირებულია C ჰეპატიტით, რომელიც ვერაგი დაავადებაა და უხშირესად შესაძლოა უკანასკნელ სტადიაში გამოვლინდეს, როდესაც მკურნალობა უშედეგოა და ადამიანი იღუპება;
- ნარკოტიკის მოსაპოვებლად ადამიანი ნებისმიერი კრიმინალური ქმედების ჩასადენად მზად არის;
- ნარკოტიკი ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების სრულ დარღვევას, პიროვნების დეგრადაციას, საზოგადოებიდან მოწყვეტას, ცხოვრებისადმი ინტერესის დაკარგვას იწვევს;
- ნარკოტიკი იწვევს წამლისადმი დამოკიდებულებას, რომლისგანაც თავის დაღწევა ძნელია.

**დაფიქრდი, ვიდრე ნარკოტიკს გემოს გაუსინჯავ და დაემონები. მერე უკვე გვიან იქნება!**

